საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030495289101720

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/10500 **11 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის N01-342/ო ბრძანების პირველი მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმას დანართის მიხედვით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

I. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცდა „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები“, რომელთა ფარგლებში აუცილებელია რიგი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება (მ. შ. უწყვეტად განხორციელება). აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. CPV კოდი 63100000 მომსახურების უწყვეტად რეალიზებისთვის საჭიროა

ა) მე-53-ე პოზიცია - 450000 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 53; შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა);

ბ) მე-54-ე პოზიცია - 491000ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 54; შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი).

2. CPV კოდი 85100000 - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები მომსახურების უწყვეტად რეალიზებისთვის საჭიროა:

ა) დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა - სამედიცინო მომსახურება სიფილისზე ეჭვის შემთხვევაში - მე-79-ე პოზიცია - 22500 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 79; შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა);

ბ) მე-80-ე პოზიცია - სამედიცინო მომსახურება სიფილისზე ეჭვის შემთხვევაში - 22500 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 80; შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი);

გ) მე-81-ე პოზიცია გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა - 207 000 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 81; შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა);

დ) მე-82-ე პოზიცია გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა - 206500 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 82; შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი);

ე) მე-83-ე პოზიცია ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე,

ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე - 450000 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 83; შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა);

ვ) მე-84-ე პოზიცია ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე,

ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე - 450000 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 84; შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი);

ზ) მე-87-ე პოზიცია ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული

მომსახურება, (აღმოსავლეთ საქართველოში): 150 000 ლარი - რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 87; შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა

თ) მე-88-ე პოზიცია 150 000 ლარი - რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 88; შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი.

ი) მე-89-ე პოზიცია ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა: 53460 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 89; შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა);

კ) მე-90-ე პოზიცია 97540 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 90; შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი);

ლ) მე-99-ე პოზიცია ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა: 999.996 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 99; შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა);

მ) მე-100-ე პოზიცია 1 000002 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 100; შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი).

ნ) მე-101-ე პოზიცია იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება: 33750 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 101; შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა);

ო) მე-102-ე პოზიცია 36250 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 102; შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი).

პ) მე-103-ე პოზიცია 100000 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 103; შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა);

ჟ) მე-104ე პოზიცია 100000 ლარი (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 104; შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი).

2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსის ბატონ კახაბერ ჩხარტიშვილის 2 აპრილის N04-3496 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საჭიროა საკარანტინო სივრცეების სასტუმრო მომსახურების შესყიდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე: გეგმას დაემატოს CPV კოდი 55100000 (სასტუმრო მომსახურება რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 50) შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა) და მისი ღირებულება განისაზღვროს 220 000 (ორას ოცი ათასი) ლარით.

3. ააიპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის დირექტორის 2020 წლის 29 აპრილის N40476 წერილის შესაბამისად, საჭიროა „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19 მართვის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება შესაბამის საკარანტინე/საველე სივრცეში მომსახურების შესყიდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე: გეგმას დაემატოს CPV კოდი 85100000 (ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 113) შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა) და მისი ღირებულება განისაზღვროს 116 625 (ას თექვსმეტი ათას ექვსას ოცდახუთი) ლარით.

დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ლევან გოგოძე